

კრიმანჭულის ნაირსახეობები დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებში

„დედამინა, ცა და მთელი კოსმოსი დიდი და ბრწყინვალე წიგნია უფლისა, რომელშიც უსიტყვოდაა გაცხადებული უხილავი ღმერთი“

ქართული ხალხური სიმღერის მრავალხმიანობის ფორმების სიმდიდრემ და შესრულების წესის იშვიათმა მრავალფეროვნებამ განაპირობა მდიდარი მუსიკალური ტერმინოლოგიის შექმნა, რომელშიც საპატიო ადგილს იკავებს ხმათა სახელები. ქართულმა მუსიკალურმა პრაქტიკამ შემოინახა ხმის აღმნიშვნელ ტერმინთა განსაკუთრებული რაოდენობა, არასრული მასალებით მათი რიცხვი 50-ს აღემატება, ასეთებია: მთქმელი, დამწყები, მწყებელი, წამომწყები, შემხმობარი, მოძახილი, მომძახნელი, მალალი ბანი, ერთიანი ბანი, ხმიერი, ბანი, დვინი, შემდეგი, დუბი, გები, ზილი, ბოხი, კრიმანჭული, გადაძახილი, ჩამომრთმევი, წვრილი, კრინი, გამყივანი, გამკვივანი, ყივანი, კივანი, კივან, პირველი ხმა, მეორე ხმა, მომღერალი მგალობელი, წინამძღვარი ხმა, წინამძღვარი მგალობელი, მთავარი მგალობელი, მელექსე, შემღვინებელი, კაფია, თავი, მეჭიფაში (მენვრილე), გამაჭყაფალი, ზებანი „მაჟოლ“ (წინამძღვარი, მეთაური), მეუბნე, ჭიფე, მეჭემ, „ჟიმუბნე“, დამწყებითი ხმაი, ფიცხი ხმაი, შემოძახილი, წყება და ა.შ.

ნაშრომის მიზანია ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის ფენომენალური მოვლენის, ერთ-ერთი ხმის – კრიმანჭულის არსისა და მისი ტემპრული თავისებურებების წარმოჩენა. აქედან გამომდინარე, მოხმობილია ისტორიულ, ეთნოგრაფიულ და ფოლკლორისტულ გამოკვლევებში მოძიებული ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც მის არქაულობას ასაბუთებენ.

ხალხური მუსიკის ნებისმიერი კომპონენტის შესწავლის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ კონკრეტულად, უშუალოდ შემსრულებლების ვინაობა. განთქმულ მომღერალ-მოკრიმანჭულეებს: ჩავლეიშვილს, გ. ბაბილოძეს, არტ. და ან. ერქომაიშვილებს, ა. ხუხუნაიშვილს, გ. დოლიძეს, გ. ჩხიკვაძეს, ა. და ქ. ტაკიძეებს, მ. შავიშვილს ხალხურ პოეზიაშიც კი ხოტბას ასხამდნენ. მათ მიერ შესრულებული პოლიფონიური ნაწარმების, „კრიმანჭულიანი“ სიმღერები წარმოქმნიან ხმოვანებით უნიკალურ ჰარმონიულ ნაგებობას.

„კრიმანჭული“ – ეს ყელისმიერი ხმაა, ქმნის მელოდიურ ფიგურაციებს, ნახტომებს შემსრულებლის სურვილისა და სუნთქვის ხანგძლივობის მიხედვით. დასავლეთ საქართველოს კუთხეების იმერეთისა და სამეგრელოს შესანიშნავ სასიმღერო ნიმუშებში კრიმანჭული გვხვდება ნაკლებად, ხოლო აფხაზეთსა და სვანეთში კი საერთოდ არ არის. პოლიფონიური მრავალხმიანობის უიშვიათეს მაგალითს წარმოადგენენ გურული და აჭარული ხალხური სიმღერები, რომელთა ხმების სხვადასხვა სახელწოდება შემოგვრჩა: 1. კრინი, კრიმანჭული, წვრილი, გამყივანი. 2. მთქმელი, დამწყები, მწყებელი, მოძახილი. 3. შემხმობარი. 4. ბანი.

აღსანიშნავია რომ, ნებისმიერი მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის დროს, პირველ რიგში, მსმენელის ყურადღებას იქცევს მელოდია, რომელიც უმეტესად მაღალ ხმებში სრულდება. გურული სასიმღერო ფოლკლორის ფუძეს წარმოადგენს კონტრასტული პოლიფონია. მრავალხმიან ფაქტურაში ნათლადაა განსხვავებული ერთმანეთისაგან თითოეული ხმის თავისებურება, თითოეული მელო-

დიური ხაზი. აქ საერთოდ არ ფიგურირებს იმიტაციის პრინციპი. ამათგან კრიმინალური ყველაზე მეტად გამოკვეთილია და უშუალოდ სწვდება მსმენელის ყურს.

XIX და XX საუკუნის გამოჩენილ მეცნიერებს და მკვლევრებს თავიანთ ნაშრომებში მრავალჯერ გამოუთქვამთ მოსაზრება ამ მაღალი ხმის განმარტებისათვის.

ცნობილი მოგზაური, „ვინმე მესხი“ გვარამაძის გვარსახელით, რომელიც ნლების განმავლობაში „მომღერალთა ბუდედ“ სახელდებულ სოფელ მაკვანეთში ცხოვრობდა, იქვე ახდენდა გურულთა ზნე-ჩვეულებაზე დაკვირვებას და მშვენიერი ნარკვევიც უძღვნა ამ თემას, 1901 წლის ჟურნალ „მოგზაურის“ ფურცლებზე აღნიშნავდა: „გურულების სიმღერის საუკეთესო თვისება მიენერება, ადგილობრივ მაგლობელთ შაშვ-ჩხარტთა, გაიდონთა (ბულბულთა) და სხვა ფრინველთა, რომლებიც მაისის თვეში უწყვეტლივ დღე და ღამე თავიანთ მშვენიერ შეუღლიამულებულ ან გაბმულ სტვენა-გალობით აცხოველებენ ბუნებას, გურულთა სმენას ატკბობენ, ამა ნახევრით გატაცებულნიც ბაძავენ მათ“ (გვარამაძე, 1901:574).

ცნობილი ეთნოგრაფის აპოლონ წულაძის გადმოცემით გურულ სიმღერათა საგანძურში წამყვანი და განსაკუთრებული ადგილი „კრიმანჭულს“ ეკუთვნოდა: „კრიმანჭული ანუ კირკანტული, როგორც მისი საუკეთესო მცოდნენი აღიარებენ, ერთი წამყვანი ხმაა, მაგრამ როგორც ლილინი, ისე კრიმანჭულიც ზოგჯერ ერთპიროვნულია. მარტოდ დარჩენილი ახალგაზრდა კრიმანჭულობდა ტყეში, ყანაში და გზაში. კრიმანჭულს ინვევდა მარტობა და შიში. კრიმანჭულობდა – შიში უქრებოდა, არ მოიწყენდა, არ ჩამორჩებოდა. ღამით მოზარდს სადმე წასვლას რომ დაავალებდნენ, ეტყოდნენ „ნეიკრიმანჭულე და წადიო“.

კრიმანჭულობდა ძროხისა თუ თხის მწყემსი ახალგაზრდა. თუ მას მოპირდაპირე მხრიდან მეორე ტოლი გამოეკრიმანჭულებოდა, ეს მოგაგონებდათ ორი მწყემსის სოინარით ან სალამურით შეჯიბრებას. კრიმანჭული დიდი სასიამოვნო მოსასმენი იყო მეტადრე მყუდრო მთვარიან ღამეში“ (წულაძე, 1971: 13). ამ დაკვირვებიდან მნიშვნელოვანია, რომ იგი ზოგჯერ ერთპიროვნული ყოფილა, ე.ი. მას ასრულებდა ერთი ადამიანი, სხვა ხმების გარეშე. სავარაუდოა, რომ მოკრიმანჭულები ჩვენ დროშიც მღერიან მარტოდ, მაგრამ ამის მაგალითები არც კრებულებში, არც ჩანაწერებში არ მოგვეპოვება. კრიმანჭულის ასეთი შესრულება ადამიანის გრძნობების გამომხატველი ყოფილა და მას გარკვეული დანიშნულებაც ჰქონია, რაც მის უძველესობაზე მეტყველებს. სავარაუდოა, რომ უხსოვარი დროის ადამიანები კონტაქტის დასამყარებლად შესტებს იყენებდნენ, ხოლო ერთმანეთთან გასაუბრება (დიალოგი) უსიტყვო გადაძახილებით, ყვირილით, ყივილით ხდებოდა, განსაკუთრებით დიდ მანძილებზე.

„პირველყოფილმა ადამიანმა ადრინდელ ეტაპზე აღიქვა მუსიკალური ბგერები მიმბაძველობის საფუძველზე. მეორე მხრივ, დიდი როლი ითამაშა ბიოფიზიოლოგიურმა მომენტებმა, როგორიცაა სიხარული, შიში, ტკივილი, მწუხარება და ამის გამომხატულება ცალკეული წამოძახილებით“ (Ábááá, 1960:5).

„კრიმანჭულს“ მამლის ყივილს ადარებენ. ფრინველის ასეთი მიბაძვა არ არის შემთხვევითი. პირველი ხმა, რომელიც შეიძლება გაჩენილიყო უძველესი ადამიანის ცნობიერებაში, იყო მაღალი ხმა. ყვირილი, კივილი, ყივილი, მიბაძვა ცხოველის ან ფრინველის ხმისა, განსაკუთრებით ფრინველის. რადგან ადამიანისათვის მიუწვდომელი იყო ფიზიკურად ფრენა, ისინი ფრინველებს უპერატესობას ანიჭებდნენ. არ არის შემთხვევითი, რომ ერთი ან რამდენიმე ხმის ცისკენ მიმართულ აჟღერებას „გალობას“ უწოდებენ. თანამედროვე ქარ-

თულში სიტყვა „გალობა“ ფრინველს უკავშირდება. აზრობრივად, „გალობას“ საეკლესიო მუსიკასთან დაკავშირებით მოვისხსენიებთ.

„კრიმანჭულის“ მორფოლოგიის საკითხი პირველად ფილიმონ ქორიძემ გამოაქვეყნა: „სიტყვა კრინი არის ქალის მაღალი ხმა. ტენორი, როგორც ვიცით მკერდში ასრულებს თავის ხმას, როდესაც ეს მკერდის ხმა გარდასცილდება და-ნიშნულს მის საზღვარს, მაშინ კრინის ხმას მიმართავს და მით მანჭავს, ახვევს, ატრიალებს მაღალ ნოტებს და მისთვის ჰქვია კრიმანჭული“ (ქორიძე, 1901:3). ფილიმონ ქორიძის განმარტება, რომ კრიმანჭული არის დახვეული კრინი, ემთხვევა ხალხში გავრცელებულ აზრს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ტერ-მინი ბევრად უფრო ადრე ყოფილა გავრცელებული.

კრიმანჭულის, როგორც სიმღერის მაღალი ხმის სახელის ეტიმოლოგიაში ღრმა ჩანვდომისა და ანალიზის საფუძვლიან დასაბუთებას ვხვდებით ივანე ჯავახიშვილის კაპიტალურ ნაშრომში „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“, რომელშიც ავტორი ასევე ამტკიცებს, რომ **კრიმანჭული** წარმოშობილია კრინისაგან: „ძველი ქართული **კრინი** უნდა წვრილისა და პატარას აღმნიშვნელი **კრინის** ბგერითი სახესხვაობა იყოს. თუ გავისხსენებთ, რომ უმდაბლესი ხმის სახელს დვრინსაც, კრინის მსგავსად, ბოლო, კიდურ მარცვლად „ნი“ აქვს უნებლიედ წამოიჭრება აზრი, რომ „ნი“ ორსავე შემთხვევაში ძირეული არ უნდა იყოს, არამედ ფორმანტი. ამიტომ კრინის ძირად **კრი** უნდა მივიჩნიოთ....“

ამრიგად, – დაასკვნის ივანე ჯავახიშვილი – „**კრი** ძირი და **კრინი** წვრილის აღმნიშვნელია“ (ჯავახიშვილი, 1938:299-300.).

თუ დავაკვირდებით, სიტყვა „**კრიმანჭული**“ ორი სიტყვისაგან შედგება: **კრი** – წვრილი ხმის აღმნიშვნელია, **კრინავ** – ხმას ძლივს იღებს (საბა), **კრინტი** – ზოგადად ხმის გამოცემას, მოკლე ბგერას გულისხმობს (გამოთქმები: ხმა! კრინტი!, ან კრინტი არა დაძრა!), **კრინტა** – მარილის ან შაქრის ნატეხი – რაც მიუთითებს ნივთის სიმცირეზე, **კრიჭა** – ყბები, მანჭავს, მანჭვა-გრება ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით (ზმნა – იგივეა, რაც პრანჭავს, ღმეჭს, ღრეჯს, ღრეცს) მიმიკასთან დაკავშირებული ტერმინებია, რომელთა კვლევასაც ხალხური სიმღერის შესრულების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. ამავე დროს, მანჭი – „**მანჭია**“ – თეთრკისრიანი ჩიტია, კისერს ხშირად რომ ამოძრავებს (ლლონტი, 1984:344).

აღსანიშნავია 94 წლის მოხუცი გლეხის ლომინეიშვილის (ბანი) გამონათქვამი: „რატომ ქვია და, დოუკვირდი, რო კრიმანჭულობს კაცი რაფერ პლანზეა, რაფერი გამოსკვნილი და ჩანრიახებულია?!.. – „**დანრიახებულია**, ვერ გაუგებ, როდის რას ამბობს...“ (2004 წლის მაისი, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრისა და ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის ექსპედიცია გურიაში). „**ნრტიალება** – „იგინი უმობენ მშობელთა თისთა **ნრტიალებითა**“ – ნრიაქი (გურ.) – ქათმის წინილების ხმაურობა (აბულაძე, 1973:550). „**კრიახი**“ – დამფრთხალი ქათმის და ზოგი სხვა ფრინველის ხმიანობა (ჩიქობავა, 1986:270).

რაც შეეხება „**გამყივანს**“ – **გამყივანი** – წვრილი, მაღალი, მყივანი ხმა, მაღალი წვრილი ხმით მომღერალი გუნდში. მოკრიმანჭულე, **გამყივარი** – იგივეა, რაც **გამყივანი** (ჩიქობავა, 1951:937); იმღერება სპეციფიკური ტემპრით, „ყივილით“, მისთვის დამახასიათებელია პატარა დიაპაზონის ფორმულა – მოტივების ოსტინატური ყდურადობა. „**ნადურებში**“ შრომის პროცესის დროს დახმარებისათვის სპონტანურად ამოსული გადაძახილები.

კრიმანჭული **გამყივანისაგან** ძირითადად დიაპაზონით განსხვავდება. კრი-

მანჭული შეიცავს ნახტომებს დიდ ინტერვალებზე. კრიმანჭულისა და გამყივანის ერთმანეთთან სიახლოვე ინვევს შემსრულებლის მიერ კრიმანჭულიდან გამყივანზე გადასვლას, ან პირიქით, დამოკიდებულია შემსრულებელზე.

ყველა ფორმულა წარმოადგენს ჰარმონიული ოსტინატოს მაგალითს. მკაფიოდ გამოკვეთილი ბგერები (კვინტა ან კვინტას პლუს ტერცია ქვემოთ) კომპლექსში ქმნის ჰარმონიულ ჩარჩოს. ვერტიკალში წარმოიქმნება ფარული მრავალხმიანობა, ე. ი. სამხმიან სიმღერაში გვექმნება ექვსი ხმის შთაბეჭდილება. ოთხხმიანში კი – შვიდის. „კრიმანჭული სიმღერაში ერთგვება მაშინ, როდესაც ქვედა ხმა – ბანი ხდება მელოდიური ხაზის აქტიური შემსრულებელი, ე.ი. ბანი კარგავს ჰარმონიული ბაზისის ფუნქციას, ხოლო კრიმანჭული თავისებური ორნამენტული ფიორიტურით ზევიდან აღადგენს სიმღერის ჰარმონიულ ბაზისს. თუმცა, კრიმანჭული შედის არა მარტო მაშინ, როდესაც ბანი კარგავს ჰარმონიული ბაზისის ფუნქციას, ხშირად კრიმანჭული ისმის სხვა ხმასთან სინქრონულად (მაგ. „ნადურში“ კრიმანჭული და შემხმობარი).“ (Aei ðääi èy, È., 1989:144)

გამყივანი და კრიმანჭული სრულდება უტექსტოდ, მარცვლების ან ხმოვანი ასოების კომბინაციებზე: ი-ა, უ-ა, ა-ი, ურუ-ა-ჰო, თირ-თირ-თირ, რიმ-ტი-რი, ვი-ა-ჰო, ვო-ი-ა-ჰო, ვო-ია, ა-რი-ა, ი-რი-ა, ი-რი-ა-ჰო, ურ-ვა-ჰო, ირ-ვა-ჰო, ი-სი-ა-ჰო, ი-ნი-ა, რინ-ტი-რი, რინ-დი-რი, რიმ-დი-რი, ო-ია და სხვ.

„კრიმანჭულის“ მსგავსია ხმოვან ბგერებზე და მარცვლებზე შესრულებული – „იოდლი“, რომელიც გვხვდება ევროპის, აზიის და აფრიკის მრავალხმიან კულტურებში. განსაკუთრებულ ინტერესს ინვევს შვეიცარიის, ავსტრიელი ტიროლელი მომღერლების და აფრიკის პიგმეების ტრადიცია.

ჯერ კიდევ 1897 წელს შენიშნა ზალცბურგიდან ჩამოსულმა ტიროლელ მომღერალთა დასმა მათ მიერ შესრულებული იოდლის გურულთან მსგავსება. „საკვირველია ის, რომ სიმღერები, რომელნიც დღეს გავიგონეთ ამ ტიროლელ მომღერალთაგან, სრულიად წააგავს გურულ სიმღერებს“ (ანონიმი, 1897). აქაური „იოდლი“ საკრავის თანხლებით (ციტრა) იმღერება, თავისებური ფალცეტით. აკორდიკა მაჟორულ-მინორულ კილოურ სისტემაზეა აგებული.

საუკუნეების მანძილზე მდინარე მოიას ხეობის ნაკრძალი (ცენტრალური შვეიცარია) შედარებით იზოლირებული იყო, ამ ფაქტმა ხელი შეუწყო „იოდლის“ ტრადიციების შენარჩუნებას. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ იოდლის წარმოშობა დაიწყო ალფჰორნული მუსიკის ვოკალური იმიტაციით, ანუ მუშაობის დროს ადამიანები ბაძავდნენ ინსტრუმენტის ხმებს. ალფჰორნის საშუალებით მწყემსები ამყარებდნენ ერთმანეთთან კავშირს.

საინტერესოა, რომ კრიმანჭულის მსგავსი მუსიკალური მოვლენა დამახასიათებელია აფრიკელი პიგმეებისათვის, რომლებიც თვით აფრიკის კონტინენტზეც განსხვავებული და იშვიათი კულტურის მქონე ხალხად ითვლება. მათ მუსიკაში ვოკალური „იოდლი“ რიტმულ პოლიფონიასთანაც არის დაკავშირებული. სრულდება დასარტყამი საკრავების ან ტაშის თანხლებით. მრავალხმიანობის წამყვანი ფორმაა პარალელიზმი (კვინტის, კვარტის, ტერციის, სამხმოვანების, შერეული), მრავალხმიანი ფაქტურა შენდება ნახტომების გზით, კილოში ერთი საფეხურის გამოტოვებით. ფაქტურის საფუძველს ქმნიან კონსონანსური თანხმოვანებები, ე.ი. ხმათა კოორდინაცია ეფუძნება კონსონანსურ ინტერვალებს.

პიგმეების სასიმღერო პოლიფონია ეყრდნობა იმიტაციის პრინციპს. ეს პრიციპი მომდინარეობს ვოკალური „იოდლის“ ტექნიკით. საინტერესოა ანალიზს და დასკვნებს ვხვდებით ფრანგი მკვლევარის პიერ სალეს მოკლე სტატიაში, „ცოცხალი ტრადიციული მუსიკის კოლექცია“. სტატია შეიქმნა მკვლევარის მიერ

1966 წელს გაბონის ბიბეაკის პიგმეებში რეალიზებული ჩანაწერების საფუძველზე.

„როგორც ცნობილია, იოდლის პრინციპით ხმა იყოფა ორ რეგისტრად. მომღერალი აკეთებს მკერდისმიერ მონაცვლეობას, ფალცეტი წინსვლით და უკუსვლით უცვლელია ვოკალურ შესაძლებლობათა ორ რეგისტრში, სიმალლით და მითუმეტეს ტემბრით (უფრო ნაზი ფალცეტი) დაპირისპირებული ეს რიგი მთავრდება კვარტის, კვინტის, სექსტისა და სეპტიმის ფართე ინტერვალების თანამიმდევრობითი აწევით და დაწევით“ (Salle, 1975) ჩვენს მიერ მოპოვებული მასალებიდან დაგვანტერესა თაფლის შეგროვების, ნადირობასთან დაკავშირებულმა, რიტუალურმა, გასართობმა სიმღერებმა. მაგალითად: გასართობი სიმღერა – ტყის ბანაკი დიგბოს მახლობლად.

აღნიშნული მაგალითები ადასტურებენ ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენის არსებობას დედამიწის სხვადასხვა კონტინენტზე – ევრაზიის შუაგულში (გურია-აჭარაში „კრიმანჭულის“ სახელწოდებით), ევროპის მთიან რეგიონში (ალპებში) და აფრიკაში (პიგმეებში „იოდლის“ სახელწოდებით), რაც მომავალში უფრო ღრმა შესწავლის საგანი შეიძლება გახდეს.

დამონმებული ლიტერატურა

აბულაძე, ილია. (1973). *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*. (მასალები). თბილისი: მეცნიერება.

ანონიმი. (1897). *თეატრის მატიანე. სოხუმი*. გაზ. ცნობის ფურცელი.

გვარამაძე, კონსტანტინე. (1901). *გურია*. ჟურნ. მოგზაური. №6-7:573-574

პატარიძე, რამაზ. (1980). *ქართული ასომთავრული*. თბილისი: ნაკადული.

ჟღენტი, ივანე. (2004). *ქართული ხალხური სიმღერის წყობის პრობლემები*. ხელნაწერი.

ქორიძე, ფილიმონ. (1901). *ქართული მუსიკის შესახებ*. გაზ. ივერია. №96:3.

ღლონტი, ალექსანდრე. (1984). *ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა*. თბილისი: განათლება.

ჩიქობავა, არნოლდ (რედ.). (1951). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*, ტ. II. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

ჩიქობავა, არნოლდ (მთ. რედ.). (1986). *ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი*. თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.

წულაძე, აპოლონ. (1971). *ეთნოგრაფიული გურია*. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჯავახიშვილი, ივანე. (1938). *ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები*. თბილისი: ფედერაცია.

Ãðááð, Ðì àí . (1960). *Ãñáí áù àÿ èñò ì ðèÿ ì óçù èè*. x. I. ì ì ñèàà: Ì óçãèç.

Æi ðááí èÿ, Èì ñèð . (1989). *Ãðçèí ñèí á ò ðááèðèí ííí á ì íí ãí ãí èí ñèá á ì áááí ðð ãí ì èí ò ááñò á ì íí ãí ãí èí ñí ù ò ááèùò óð*. Óàèèèñè: Èçáàáèèñíðáí Óàèèèñíñèí ã Óí èááðñèáòà.

Salle, Pierre. (1975). *Jodel et Proc Edes Contrapunctiques des Pygmees*. თარგმანი: კალანდაძე, ნინო. (1999). *იოდლი და კონტრაპუნქტული შესრულება პიგმეებთან*. (ხელნაწერის სახით). თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.